

კომპანია Rossoft-ი - ანაზღაურებადი სტაჟირება სამომავლო დასაქმების პერსპექტივით

კომპანია Rossoft-ი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის, მაგისტრატურისა და/ან დოქტორანტურის სტუდენტებს სთავაზობს ანაზღაურებად სტაჟირებას IC ERP Solutions დეველოპერის პოზიციაზე. კანდიდატები, რომლებიც სტაჟირების პროგრამას წარმატებით გაივლიან, დასაქმდებიან კომპანიაში.

ფუნქცია-მოვალეობები (ანუ რას შეისწავლით):

- პროგრამირებას IC-ის უახლეს 8.3 პლატფორმაზე არსებულ სხვადასხვა ტიპის ERP გადაწყვეტილებაში;
- სტაჟირების პროგრამით გათვალისწინებულ შიდა ტრენინგებში მონაწილეობა;
- კონფიგურაციაზე მუშაობა, აწყობა, ადმინისტრირება;
- დამატებითი ანგარიშების, დამუშავების, საბეჭდი ფორმების შექმნა;
- კონფიგურაციის აწყობა, შემუშავება, დანერგვა, განახლება, მოდელირება, მხარდაჭერა;
- საპროექტო სამუშაოების ორგანიზება, მონაცემების შეგროვება, ტესტირება;
- პროგრამის სტანდარტული ფუნქციონალის მოდიფიცირებები პროგრამული კოდის დონეზე;
- ტექნიკური დავალებების მომზადება პროექტების ჭრილში;
- სამუშაოსთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის დავალების შესრულება.

პოზიციისთვის საჭირო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში (განიხილვიან მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტებიც);
- MS Office-ის პროგრამების ცოდნა;
- რუსული ენის სრულყოფილი ცოდნა (წერითი უნარი), ინგლისური ენის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად;
- პროგრამული ენების ცოდნა (C++, Java, C#) - ჩაითვლება უპირატესობად;
- მონაცემთა ბაზების კომპიუტერული ენის SQL-ის ცოდნა - ჩაითვლება უპირატესობად;

პიროვნული უნარები:

- ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება;
- დეტალებზე ორიენტირებულობა;
- მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- დროის ეფექტურად მართვის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- აქტიურობა და მიზანმიმართულობა.

სამუშაო პირობები:

- ადგიმლდებარეობა - ქ. თბილისი, დავით გამრეკელის №2, აქსისის ბიზნეს ცენტრი.
- სამუშაო საათები - სრული სამუშაო განაკვეთი - 10:00 – 18:00, ორშაბათი-პარასკევი.
- ხანგრძლივობა - 3 თვე - კანდიდატები, რომლებიც სტაჟირების პროგრამას წარმატებით გაივლიან, დასაქმდებიან კომპანიაში.
- ანაზღაურება - ფიქსირებული, კანდიდატის კვალიფიკაციის მიხედვით.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა რეზიუმე (CV) უნდა გაგზავნონ შემდეგ მისამართზე: info@rossoft.ge.
გთხოვთ, ელექტრონული წერილის თემაში (Subject) მიუთითოთ „1C ERP Solutions დეველოპერი“

კომპანია Rossoft-ის შესახებ:

კომპანია Rossoft წარმოადგენს 1C-ის მაღალხარისხიანი სისტემების, ERP გადაწყვეტილებების, პროვაიდერს საქართველოს პროგრამული უზრუნველყოფის ბაზარზე. კომპანიის მისიაა, ხელი შეუწყოს ბიზნეს-პროცესების სისტემატიზირებული მართვის განვითარებას, ხოლო მიზანი - 1C-ის პლატფორმაზე არსებული უახლესი პროგრამული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომის ზრდა და საქართველოში ბიზნესის თანამედროვე მართვის კულტურის დამკვიდრება. დეტალური ინფორმაცია კომპანიის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.rossoft.ge